ხელშეკრულება #53

ქ. ყვარელი 23.03.2022 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი) შპს „პენსან ჯორჯია" წარმოდგენილი დირექტორის გიგა გობიანიძეს სახით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაშიგამოყენებულ ტერმინებსაქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება"),,სახელმწიფოშესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზედ თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. ,,შემსყიდველი" ნიშნავსორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3.,,მიმწოდებელი"ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4.,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა" ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი: 250 შეკვრა (50 ყუთი) A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი. (CPV – 30197630) (დანართი #1)

2.2. პროდუქტების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ჩათვლით.

2.3 შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, უნდა აკმაყოფილებდეს თითოეულ სახეობებისთვის ინდივიდუალურად წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს და არ უნდა იწვევდეს სამუშაო პროცესის შეფერხებას.

2.4. მიწოდებულ პროდუქტებზე დეფექტის ან მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრასზემოთაღნიშნულიდეფექტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3625 (სამი ათას ექვსას ოცდახუთი)** ლარს;

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, "მიმწოდებლის"მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

4.2.,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება იწარმოებს ერთჯერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.მიღება-ჩაბარებისწესი

5.1. ,,მიმწოდებლი'',,შემსყიდველს'' მიღება-ჩაბარების აქტს;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული საქონლის დასახელება, მოცულობა და ღირებულება;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1.მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, შემსყიდველის მიერ მითითებულიტერიტორია ქ. ყვარელი კუდიგორის ქ. N1;

6.2 საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველის“ უფლება აქვს:

- ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

7.2 ,,შემსყიდველი“ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებულიპირობებით.

7.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდ ებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;
- უზრუნველყოს სსაქონლის მიწოდება შესრულება ტექნიკურ დავალებაში, სატენდერო წინადადების განფასებისა და მისი დანართის შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მაც წერილობით აცნობებს ,,შემსყიდველი'') საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8.ხელშეკრულების ინსპექტირებისპირობები

8.1.,,შემსყიდველი” უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივწერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს''წუნდების მიზეზებისმითითებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობახელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობისშესაამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%- ის ოდენობით;

9.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.06%-ს ,,შემსყიდველი''იტოვებს უფლებასშეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელიპირგასამტეხლოსანაზღაურება;

9.4.პირგასამტეხლოსგადახდაარათავისუფლებსმხარესძირითადივალდებულებებისშესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. წინამდებარეხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია,

თუ ამ ცვლილებებისშედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება

საქართველოსკანონმდებლობითდადგენილიწესით.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

10.5ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ფორს-მაჟორი

11.1.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოეების შედეგი.

11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული,,შემსყიდველისა“ ან,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტოასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებისდამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.დავებიდა მათიგადაწყვეტისწესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად;

13. სხვაპირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ახელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

13.6.ხელშეკრულებას თანერთვისდამისი განუყოფელი ნაწილია მისაწოდებელი საქონლის ხარჯთაღრიცხვა.

13.7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 29 აპრილამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „პენსან ჯორჯია“
ს/კ 241578574	ს/კ 404870760
მის:ქ.ყვარელი კუდიგორის #1	მის: ქ თბილისი თამარ მეფის გამზ#18
	მომსახურე ბანკი: პროკრედიტ ბანკი
	ბანკის კოდი: MIBGGE22
	ანგ.ნომერი:GE98PC0113600100027886
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი	შპს „პენსან ჯორჯია“
გივი ზაუტაშვილი	გიგა გობიანიძე

დანართი #1

CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამი
30197630	A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი	250 (შეკვრა)	14.50	3625
			სულ ჯამი:	3625